

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების თბილისის დავით აღმაშენებლის  
სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის

დებულება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი.**

- 1.1 შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - „სასწავლო უნივერსიტეტი“) იურიდიული სამსახური (ტექსტში შემდგომ - „სამსახური“) წარმოადგენს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულს.
- 1.2 სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის დებულებითა და წინამდებარე დებულებით.
- 1.3 სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

**მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები**

- 2.1 სამსახურის საქმიანობის სფერო, ფუნქციები და ამოცანებია:
- ა) სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი წარდგენის პროცედურათა ხელშეწყობა;
  - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
  - გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადება;
  - დ) კონტროლი და კოორდინაცია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაზე, მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე;
  - ე) სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალურ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
  - ვ) სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წინადადებების მომზადება;
  - ზ) სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობისა და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და სასამართლოებში;
  - თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების,

საჩივრებისა და შემუშავებული ნორმატიული აქტების განხილვა და მათ განხილვაში მონაწილეობა;

2.2 დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას სამსახური უფლებამოსილია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს სასწავლო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტები, შეიმუშაოს წინადადებები აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს დასკვნები სასწავლო უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით;

გ) წარმოადგინოს სასწავლო უნივერსიტეტი - სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე, სხვა დაწესებულებებსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში.

### **მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა**

3.1 სამსახური წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი;

3.2 სამსახურის უფროსს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

### **მუხლი 4. სამსახურის უფროსის კომპეტენცია**

სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

დ) ანგარიშვალდებულია სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ რექტორის წინაშე ასრულებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დავალებებს;

ე) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს, ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

ვ) სამსახურის სახელით იძლევა დასკვნებს კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის თვითმფასების ანგარიშის მომზადებაში.

თ) ახორციელებს ამ დებულებით, სასწავლო უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს

კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.  
ი) სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს რექტორის, უშუალო დავალებებს;  
კ) რექტორის დავალებით ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

#### **მუხლი 6. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.**

იურიდიული სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 7. სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად.

#### **მუხლი 9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.**

9.1 წინამდებარე დებულებას ამტკიცებს რექტორი;

9.2 დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.